**ხელშეკრულება №23**

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

სოფელი ანდრიაწმინდა 10 ოქტომბერი, 2016წ.

ერთის მხრივ, **სსიპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ანდრიაწმინდის საჯარო სკოლა“** (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ლამზირა ჩხაიძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს“ავერსი–ფარმა“** წარმოდგენილი კომერციული დირექტორის ეკატერინე ბურძენიძის (მინდობილობის სარეგისტრაციო #სარეგისტრაციო–160706792, ინდივიდუალური 15790663683016) სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის გზით ფარმაცევტული პროდუქტის (CPV33631200 კოდით ) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც თან დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება**

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 84.85(ოთხმოცდაოთხი ლარი და 85 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

**მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება**

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით, სასაქონლო ზედნადებითა ან/და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშფაქტურით, რომელთა ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია შესაძლო რისკებზე – საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე. აღნიშნული დოკუმენტის გაფორმების მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების ან/და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებითა ან/და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

**მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა**

4.1 მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 2016 წლის 10 ნოემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. ახალციხე, სულხან საბას ქ.#1 (შპს „ავერსი–ფარმას“ აფთიაქი) საქონლის შესყიდვის მომენტად ითვლება აღნიშნულ მისამართზე მხარეთა მიერ სასაქონლო ზედნადების გაფორმების თარიღი, რა მომენტიდანაც შემსყიდველზე გადადის 3.1. პუნქტით გათვალისწინებული საკუთრების უფლება;

**მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.
ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული, საქონელი.
გ)შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა განახორციელოს მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებამდე აღმოჩენილი უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

**მუხლი 6. პირგასამტეხლო**
6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს ხოლო ასეთ შემთხვევაში დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის ღირებულების/გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.
6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება.

**მუხლი 7. ფორსმაჟორი**
7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

**მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**
8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;
დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი**
9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

**მუხლი 10. შეტყობინება**

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

**მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა**

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

**მუხლი 12. ხელშეკრულების ენა**

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ორი - შემსყიდველთან.

**მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 10 დეკემბრამდე.

**მუხლი 14. სხვა პირობები**

14.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

**მიმწოდებელი**

**შ.პ.ს. „ავერსი–ფარმა“**

მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ.148
საიდენტიფიკაციო კოდი:211386695
საბანკო რეკვიზიტები: „საქართველოს ბანკი“
საბანკო კოდი: BAGAGE22
ანგარიშსწორების ანგარიში:
GE06BG0000000122932100

კომერციული დირექტორი:
/ ე.ბურძენიძე /

**შემსყიდველი**

**სსიპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ანდრიაწმინდის საჯარო სკოლა“**

მისამართი: სოფელი ანდრიაწმინდა
ტელეფონი: (+995 598 097 600)
საიდენტიფიკაციო კოდი: №224081534
საბანკო რეკვიზიტები: ,,ლიბერთი ბანკი''
საბანკო კოდი: LBRTGE-22
ანგარიში: №GE98LB0121122900047000

დირექტორი
/ლ. ჩხაიძე/

დანართი 1

2016 წლის 10 ოქტომბრის ხელშეკრულებაზე:

| საქონლის დასახელება | რაოდენობა | ერთ.ფასი | საერთო თანხა |
|---|---|---|---|
| ბინტი ელასტ.ს/წელ.3.5მx80მმ | -1 | 4.85 | -4.85 |
| ანალგინი 0.5გ #20ტ (ბულგ) | -2.5 | 0.66 | -1.65 |
| ანბერი #10ტ | -1 | 4.8 | -4.8 |
| ბამბა 50გ (იმპ) | -2 | 0.5 | -1 |
| ბარალგინი პლუსი #10ტ | -2 | 0.6 | -1.2 |
| ბინტი 7მx14სმ სტერ.(იმპ) | -1 | 0.8 | -0.8 |
| ეთანოლი სამედიცინო 200მლ | -1 | 2.25 | -2.25 |
| ვალერიანი პიტნით #40ტ (ნეოფ) | -5 | 1.2 | -6 |
| ვალერიანის ექსტრაქტი #50ტ(ბელ) | -5 | 0.5 | -2.5 |
| იოდის სპირტხსნარი 5% 10მლ (თბ) | -2 | 0.49 | -0.98 |
| შპრიცი ერთჯერადი 5მლ რ/დ | -5 | 0.12 | -0.6 |
| ციტრამონი #6ტ (დარნიცა) | -1 | 0.37 | -0.37 |
| კაპტოპრილ(კაპტი)25მგ #50ტ | -0.5 | 6.5 | -3.25 |
| კაპტოპრილ(კაპტი)25მგ #50ტ | -0.5 | 6.5 | -3.25 |
| კორსიზი #10ტ | -5 | 1.5 | -7.5 |
| ლეიკოპლ.გეობანტი 19მმx72მმ#10 | -6 | 0.25 | -1.5 |
| ნო-შპა 40მგ #100ტ | -2 | 10.9 | -21.8 |
| პარაცეტამოლი 0.5გ #20ტ | -2 | 0.75 | -1.5 |
| პერინი #10კაფს | -10 | 1.75 | -17.5 |
| ქაფურის სპირტი 10% 50მლ ფლ(თბ) | -1 | 1.1 | -1.1 |
| შპრიცი ერთჯერადი 2მლ რ/დგ | -5 | 0.09 | -0.45 |

სულ: 84.85 ლარი

**მიმწოდებელი**

**შ.პ.ს. „ავერსი–ფარმა“**

**მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებელის გამზ.148**
**საიდენტიფიკაციო კოდი:211386695**

**კომერციული დირექტორი:**
**/ ე.ბურძენიძე /**

**შემსყიდველი**

**სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ანდრიაწმინდის საჯარო სკოლა**

**მისამართი:** სოფელი ანდრიაწმინდა
**საიდენტიფიკაციო კოდი:** №224081534

**დირექტორი**
**/ლ. ჩხაიძე/**

# მიღება - ჩაბარების აქტი

25 ოქტომბერი,2016 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი ერთის მხრივ სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ანდრიაწმინდის საჯარო სკოლის დირექტორი (შემდგომშიშემსყვიდველი )ლამზირა ჩხაიძის სახით,მეორეს მხრივ შპს“ავერსი ფარმა“.სუდაძე,შემდგომში მიმწოდებელი,ვადასტურებთ,რომ მხარეებს შორის 2016 წლის 10 ოქტომბერი გაფორმებული N23 ხელშეკრულების შესაბამისად მიმწოდებელმა მიაწოდა ხოლო მიმღებმა მიიღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი 84 (ოთხმოცდაოთხი) ლარის და 85თ. ღირებულების.

სსიპ ანდრიაწმინდის საჯარო
სკოლის დირექტორი /ლამზირა ჩხაიძე/

შპს“ავერსი ფარმა“ / ე.ბურძენიძე /